

## პრესრელიზი

დიმიტრი ქუმსიშვილი წიაღის სექტორში მომუშავე ლიცენზიანტი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა

წიაღის სექტორში მომუშავე ლიცენზიანტი კომპანიების წარმომადგენლებსა და პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საუბრის მთავარი თემა დარგში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები იყო. როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით დაიწყება წიაღის სექტორის ფართომასშტაბიანი რეფორმა.

სამუშაო შეხვედრას „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ზურაბ გელენიძე, საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის „გენერალური დირექტორი მალხაზ იასეშვილი და „ჯი-აი-ჯის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი სტრატეგიულ საკითხებში ლევან ვეფხვაძე ესწრებოდნენ.

„მნიშვნელოვანია რომ ბიზნესისთვის პროსექციები მარტივდება იმ კუთხით, რომ ვიცით რომ ერთ კონკრეტულ უწყებასთან გვაქვს ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში კი მიღწეულია შედეგი- გამარტივდეს ბიზნეს პროცესი, მეორე მხრივ, სახელმწიფო იყოს აქტიური სტრატეგიისა და ახალი კანონმდებლობის ინიცირებაში, რადგან სახელმწიფოსთვის ჩნდება ინვესტიციების მოზიდვის ახალი შესაძლებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ კუთხით სამინისტრომ ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას და ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებას.“- აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ. მინისტრის ინფორმაციით 2018 წელს შემუშავდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ახალი საკანონმდებლო პაკეტი მომზადდება.

წიაღისეულით სარგებლობის სფეროში შექმნილი პროდუქციის დიდი ნაწილი გადის ექსპორტზე (წიაღისეული რესურსების წილი ექსპორტში 35 პროცენტს შეადგენს). სექტორში 25,000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა წიაღის ეროვნული სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი მაია ზავრაშვილი.

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

